სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57137592799326

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261572018



რეგისტრაციის თარიღი

05.11.2026 წ

ნოტარიუსი: დიმიტრი ლიპარტელიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N43
ტელეფონი: 598 66 75 65

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ.თბილისი, ორიათას ოცდაექვსი წლის, ხუთი ნოემბერი

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს **დიმიტრი ლიპარტელიანის** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ.თბილისი, ილია ვეკუას ქ. N43-ში,** მომმართა **თორნიკე საჯაიამ** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **თორნიკე საჯაიამ** (დაბ. 23.02.1991წ. მცხოვრები მისამართზე: თბილისი ვლადიმერ ნანეიშვილის ქ. N 11 ბ. 104, პირადი № **46001020109**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **თორნიკე საჯაია** (პირადი № **46001020109**) შემდგომში **"მიმნდობი"** ვენდობი **დაჩი ჯანაძეს** (დაბადებული : 23.07.1998წელს. პირადი №**01001090764**), შემდგომში **"მინდობილი"** მას/ხელ, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი ჩემს საკურებაში/თანაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან - **ს.კ 01.72.14.001.223 დაკავშირებით (საპროექტო/სამშენებლო/ნებაროვების მიღებასთან დაკავშირებით)** ნებისმიერ მესამე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, აწარმოოს ნებისმიერი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობასთა, მიშენება/დაშენება/რეკონსტრუქციასთან, სახლვრების დადგენასთან დაკავშირებული საქმეები, შეიტანოს განცხადებები ჩემს ნაცვლად, აიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებიდან. იყოს ჩემი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტებში, ნებისმიერი ქალაქის მერიაში, სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურებსა და არქივებში, ოესტიციის სახლში, საკუთრების უფლების ადიარების კომისიაში, შსს-ში, სანოტარო ბიუროში, არქიტექტურის სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, გამწვანების სამსახურში, ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში (ნებისმიერი: გაზი, დენი, წყალმომარაგება), მოახდინოს აბონენტად რეგისტრაცია/გაუქმება, სამივე ინსტანციის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში. შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს ჯარიმები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები. მიიღოს რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი, წარდგინოს და აბეჭდოთოს დოკუმენტაცია, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, შეიტანოს კორექტირება პროექტში, დაამტკიცოს კორექტირებული პროექტები, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, შეცვალოს უძრავი ქონების დანიშნულება/სტატუსი, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება.

მინდობილობა გაცემულია ორიათას ოცდაშვიდი წლის, ხუთი თებერვლის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცემა მომნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში.

მიმნდობი: თორნიკე საჯაია

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: 18(თვრამეტი) ლარი. (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა). და რეგისტრაციის საფასური 5(ხუთი) ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 23(ოცდასამი) ლარი.

ნოტარიუსი: